

არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები და უწყებების მიერ მათი გათვალისწინების

სტატუსი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის

ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

| N | არასამთავრობო ორგანიზაცია | ასოცირების შეთანხმების/ დღის წესრიგის მუხლი | რეკომენდაცია | სახელმწიფო უწყება | რეკომენდაციის გათვალისწინების სტატუსი |
|----|-------------------------------|--|--|------------------------------|---|
| 1. | ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი | <p>N161</p> <p>სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის მარკეტინგის სტანდარტების ეტაპობრივი მიღების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი სტანდარტისა და ხარისხის სქემების იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>ასოცირების დღის წესრიგი</p> | <p>დაგეგმილ აქტივობებში მითითებულია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მარკეტინგული აქტივობების ხელშეწყობის ღონისძიებები“. ჩვენთვის კითხვებს ზადებს ის, თუ რამდენად შეესაბამება ეს აქტივობა ასოცირების შეთანხმების ზემოაღნიშნულ პუნქტს. ჩვენი აზრით, აქტივობებში მითითებული უნდა იყოს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მარკეტინგის სტანდარტების ამალღებას სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან მიმართებაში და არა ზოგადად, მარკეტინგული აქტივობების ხელშეწყობა, თან რატომღაც მხოლოდ კოოპერატივებთან მიმართებაში. შესაბამისად უნდა შეიცვალოს 121-ე პუნქტის სხვა გრაფების შინაარსიც</p> | სოფლის მეურნეობის სამინისტრო | <p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p> <p><i>სოფლის მეურნეობის სამინისტრო:</i></p> <p>სამოქმედო გეგმას დაემატა შემდეგი აქტივობა (#161.2): სასწავლო პროგრამების განხორციელება გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტით დაფინანსებულ ახალ გახსნილ საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიების, სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების და სისტემების დასანერგად (HACCP და ISO22000:2005)</p> <p>ხოლო, სამოქმედო გეგმაში უკვე ასახული აქტივობა შეესაბამება ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის შესაბამის მუხლს, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და არა სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, რომლებიც ხორციელდება აღნიშნული მიზნით შექმნილი სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების</p> |

| | | | | | |
|----|--------------------------------------|--|--|-------------------------------------|---|
| | | | | | <p>განვითარების სააგენტოს მიერ. რაც შეეხება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ კომენტარს. მოგახსენებთ, რომ სურსათის უვნებლობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, ისევე როგორც ამ მიმართულებით ლაბორატორიული კომპონენტის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ქმედებები ასახულია სამოქმედო გეგმის შესაბამის პუნქტებში.</p> |
| 2. | <p>ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი</p> | <p>#163 სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების მოდერნიზება, მათ შორის ამ პროცესში ყველა შესაბამისი ინტერესჯგუფის მონაწილეობის გზით“; ხოლო დაგეგმილ აქტივობაში მითითებულია „ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) - განხორციელება. ასოცირების დღის წესრიგი</p> | <p>აქტივობის შესრულების ინდიკატორებში მითითებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს „კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა“ და „ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სრულყოფის მიზნით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა“.</p> <p>ორივე ეს ინდიკატორი რაოდენობრივია და მათი მეშვეობით შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად იქნა დასახული მიზნები მიღწეული. აუცილებელია ხარისხობრივი ინდიკატორების შემუშავება, მაგალითად, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ბოლოს ჩატარებული ტესტირებების წარმატებით ჩაბარების პროცენტული მაჩვენებელი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მოსალოდნელი შედეგების მიღების მაჩვენებლები და სხვა.</p> <p>გარდა ამისა, ინსტიტუციური განვითარება არ გულისხმობს მხოლოდ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა, თუ ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სრულყოფას. ძალიან მნიშვნელოვანია მართვის სისტემის დახვეწა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პროექტი</p> | <p>სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> | <p>არ არის გათვალისწინებული</p> <p><i>სოფლის მეურნეობის სამინისტრო:</i></p> <p>სამოქმედო გეგმის აღნიშნულ პუნქტში გარდა მითითებული აქტივობისა („ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) - განხორციელება“ „ევროკავშირის ყოვლისმომცველი CIB - განხორციელება“) ასახულია ასევე სხვა პროექტებიც. მაგ: ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ENPARD ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ პროექტის - SEAS - განხორციელება „ექსტენციისა და საკონსულტაციო</p> |

| | | | | |
|--|--|--|---|--|
| | | | <p>ითვალისწინებს ინსტიტუციური განვითარების გეგმის სრულყოფას. ამასთან დაკავშირებითაც საჭიროა, რომ შესაბამისი ინდიკატორები იყოს შემუშავებული.</p> <p>ამასთანავე, „ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტი (CIB) მოიცავს, არა მხოლოდ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, არამედ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტსა და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიას. შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული ამ უწყებების საქმიანობაც უნდა იყოს გეგმაში ასახული.</p> <p>და ბოლოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული საკითხი, რომელსაც 167-ე პუნქტი ეძღვნება, ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობაზეც მიუთითებს. თუმცა, ამ მხრივ გეგმის 167-ე პუნქტში არაფერია ნათქვამი.</p> | <p>მომსახურების გაძლიერება საქართველოში“. აღნიშნული აქტივობების ერთობლიობა ვფიქრობთ პასუხობს დღის წესრიგის შესაბამის მუხლს.</p> <p>რაც შეეხება ინდიკატორებს, მოგახსენებთ, რომ რაოდენობრივი ინდიკატორი შესაძლებლობას იძლევა მოგვცეს ზუსტი მონაცემი თუ რამდენმა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი კონკრეტული ქმედებიდან. ხოლო ხარისხობრივი ინდიკატორის მითითების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ასევე ხარისხის შემფასებელი ორგანო და შეფასების პროცედურები. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ შენიშვნით შემოთავაზებული ინდიკატორი - „კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ბოლოს ჩატარებული ტესტირებების წარმატებით ჩაბარების პროცენტული მაჩვენებელი“ ყველა შემთხვევაში ვერ იქნება რელევანტური, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი არ ითვალისწინებს სატესტო გამოცდის ჩაბარებას.</p> <p>აქტივობის განხორციელების შედეგი გარდა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფრასტრუქტურისა თუ ტექნოლოგიის სრულყოფისა, ითვალისწინებს ასევე გაძლიერებული და განვითარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციურ სისტემასაც.</p> <p>სამოქმედო გეგმის ზემოაღნიშნული პუნქტის შესაბამისად განსახორციელებლ აქტივობებში გათვალისწინებულია რამდენიმე ინტერეს ჯგუფი. მათ შორის: სახელწიფო უწყებები, საჯარო</p> |
|--|--|--|---|--|

| | | | | | |
|----|---|--|--|---|--|
| | | | | | სამართლის იურიდიული პირები, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები. ასევე გათვალისწინებულია „ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება საქართველოში“ რაც თავისთავად უკავშირდება სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული დაინტერესებული პირების მონაწილეობას. |
| 3. | Multi-ethnic resource centre on civic education development | #162 სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის კოოპერატივების მეშვეობით მასშტაბის ეკონომიის გაძლიერების, საკონსულტაციო და განათლების სისტემების განვითარების გზით წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით; და სიცოცხლისუნარიანი საკრედიტო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის | აქტივობებს დაემატოს, წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტანდარტებთან შესაბამისობის გაზომვა-შეფასების უზრუნველყოფა (ლაბორატორიების ამოქმედება და ა.შ.). | სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი | გათვალისწინებულია <i>სოფლის მეურნეობის სამინისტრო:</i> აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სტანდარტებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა წესრიგდება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, რომლის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტანახმად, სტანდარტი არის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. მწარმოებელს შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს სხვა ტექნიკური მიდგომები ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგლამენტში კონკრეტული სტანდარტის გამოყენების შესახებ პირდაპირ არის მითითებული. გარდა ამისა, კონკრეტული სტანდარტების შეფასება სცილდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას. |

| | | | | | |
|----|---|---|---|---|--|
| | | გამარტივების გზით. ასოციაციების დღის წესრიგი | | | |
| 4. | Multi-ethnic resource centre on civic education development | პუნქტი 162. 5 | აქტივობის „სახელმწიფო პროგრამის შესრულება - დანერგე მომავალი“ შედეგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ხილის მწარმოებელ რეგიონებში გაშენებულია ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ბაღები, ასევე სათბურები და ბოსტნები“. ამავე პუნქტის შედეგებს დაემატოს „იდენტიფიცირებული და წახალისებულია ისეთი ხეხილის, ასევე კენკროვანი და ბოსტნეულის კულტურების სახეობებისა და ჯიშების მოყვანა, რომელიც დეფიციტურია ევროპაში და შესაბამისად მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი იქნება ევროპულ ბაზარზე“. | სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი | არ არის გათვალისწინებული <i>სოფლის მეურნეობის სამინისტრო:</i> აღნიშნულ შენიშვნას ვერ გავიზიარებთ, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო პროგრამა - დანერგე მომავალი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 ტებერვლის N56 დადგენილებით და პროგრამის ამოცანებს წარმოადგენს: ა) თანამედროვე სტანდარტების მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობის შექმნა; ბ) მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღებისა და პლანტაციების გაშენება; გ) სანერგე მეურნეობების შექმნის, მრავალწლიანი კულტურების ბაღებისა და პლანტაციების გაშენების სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით; დ) მეურნეობებისა და ბაღების შექმნის მსურველთათვის ტექნიკური დახმარების გაწევა. |
| 5. | Multi-ethnic resource centre on civic education development | პუნქტი 162 სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბაზარზე ორიენტირებული | აქტივობას „სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული პირების ცნობიერების დონის ამაღლება, კონსულტაცია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა“ და მის შედეგებს „მომზადებულია რეკომენდაციები, გამოცემულია ბროშურები; ჩატარებულია საგანმანათლებლო აქტივობები“ დაემატოს „უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეთნიკური | სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი | არ არის გათვალისწინებული |

| | | | | | |
|----|---|---|---|--|---|
| | | სოფლის მეურნეობის კოოპერატივების მეშვეობით მასშტაბის ეკონომიის გაძლიერების, საკონსულტაციო და განათლების სისტემების განვითარების გზით წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით; და სიცოცხლისუნარიანი საკრედიტო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გამარტივების გზით. ასოცირების დღის წესრიგი | უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე“. | ცენტრი | |
| 6. | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | კარი VI, თანამშრომლობის სხვა სფეროები. თავი 13 – მომხმარებლების პოლიტიკა | შეფასდეს საქართველოში 2001 წლის 3 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივის დებულებათა შესრულების მდგომარეობა და დაიგეგმოს გამოსწორების ზომები. უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებული მხარეების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ამ პროცესში; • უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს კანონმდებლობაში 87/357/EEC დირექტივის, 2009/251/EC გადაწყვეტილების და 2006/502/EC გადაწყვეტილების გადმოტანა. უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებული | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | გათვალისწინებულია 87/357/EEC, 2006/502/EC დირექტივების განხორციელება გათვალისწინებულია. პუნქტი N 175 |

| | | | | | |
|----|---|--|--|--|---------------------------------|
| | | | <p>მხარეების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ამ პროცესში;</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოფილი იქნას საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების მოზადება იმისთვის, რომ საქართველოში ამოქმედდეს სამომხმარებლო ბაზრის უსაფრთხოების კონტროლი. უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებული მხარეების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ამ პროცესში; • საქართველოს მთავრობამ, საქართველოს პარლამენტთან ერთობლივად, მოახდინოს სოციალური დიალოგის ორგანიზება საქართველოში არასასურსათო პროდუქტების ბაზრის უსაფრთხოების თაობაზე, რათა გამოიყოს პრიორიტეტები სამომავლო აპრიქსიმაციისთვის, ასოცირების კომიტეტში წარსადგენად. | | |
| 7. | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | #178 ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 348 | <p>სტრატეგიული პარტნიორობის ინიცირება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის, რომელიც მიმართული იქნება რთული სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორულ პროექტებში ჩართული იყვნენ აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები და სხვა სოციალური პარტნიორები;</p> <p>– მუდმივმოქმედი სამეთვალყურეო კომისიის /მრჩეველთა საბჭოს დაარსება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლებით (მთავრობა, ბიზნეს სექტორი, ბიზნეს ასოციაციები, სამოქალაქო ორგანიზაციები, პროფკავშირები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და დამოუკიდებელი ექსპერტები) და რომელიც ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანოს როლს</p> | ბავშვთა და ახალგაზრდო ბის განვითარების ფონდი | არ არის გათვალისწინებული |

| | | | | | |
|----|---|--|--|--|--------------------------|
| | | | შეასრულებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე. მისი მიზანი იქნება ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა დიალოგს და მათ ჩართვას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში, კოორდინირება გაუწიოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის საქმიანობებსა და ინიციატივებს, რეკომენდაციები მიაწოდოს მთავრობას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო | | |
| 8. | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | | <ul style="list-style-type: none"> - ყოველწლიური ფართომასშტაბიანი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეროვნული კონფერენციის ინიცირება და მხარდაჭერა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბიზნეს სექტორის, სახელისუფლებო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები; - ტრენინგების ორგანიზება ბიზნეს კომპანიებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე - სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან პარტნიორობით საკომუნიკაციო კამპანიების მოწყობა როგორც ზოგადად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსის, ფორმებისა და მნიშვნელობის, ისე მისი ცალკეული ასპექტების შესახებ (მაგ., ადამიანის უფლებები, შრომითი უფლებები, პროდუქციაზე პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა და ა.შ.). - ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ცალკე სამიზნე ჯგუფად უნდა გამოიყოს სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული |

| | | | | | |
|----|---|--|---|--|--------------------------|
| | | | <p>წარმომადგენლები, სახელმწიფო კომპანიები და საჯარო სერვისის მიმწოდებელი კომპანიები, ადმინისტრაციული ორგანოები, გადაწყვეტილების მიმღები პირები და ა.შ. მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება და სათანადო ცოდნის მიწოდება სემინარებისა და ტრენინგების მეშვეობით, შესაბამისი მაგალითების პოპულარიზაციის გზით.</p> <p>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის და მასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.</p> | | |
| 9. | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 352 | <p>OECD-ის `სახელმძღვანელო მითითებები` სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს არა მხოლოდ მულტინაციონალური საწარმოებისათვის, არამედ მრავალი საშუალო და მცირე ეროვნული კომპანიისათვის პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სფეროში. ამდენად, ასოცირების შესახებ შეთანხმების 352-ე მუხლის განხორციელების მიზნით მიზანშეწონილი მიზანშეწონილია განხორციელდეს ღონისძიებები აღნიშნული „სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელების ხელშეწყობისათვის. კერძოდ: საქართველო მიუერთდეს OECD-ის `სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის.` არსებობს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც OECD-ის არაწევრი ქვეყანა შეიძლება ოფიციალურად მიუერთდეს OECD-ის `სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის.` (ამჟამად 8 ქვეყანა, რომელიც არ არის OECD-ის წევრი მიერთებულია ამ სახელმძღვანელო მითითებებს). იმ ქვეყნებში, რომლებიც ოფიციალურად უერთდება და აღიარებს OECD-ის `სახელმძღვანელო მითითებებს` ფუნქციონირებს `ეროვნული საკონტაქტო უწყებები`. ეს არის სამთავრობო უწყებები,</p> | | არ არის გათვალისწინებული |

| | | | | |
|--|--|---|--|--|
| | | <p>რომლებიც პასუხს აგებენ მოცემულ ქვეყანაში `სახელმძღვანელო მითითებების` განხორციელებაზე და მათ შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებაზე ქვეყნის ბიზნეს კომპანიათა შორის. OECD-ის `სახელმძღვანელო მითითებების` დანერგვის ინსტრუმენტებს წარმოადგენს მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ფინანსური სტიმულირება. ბ) მუხლი 352 აგერთვე ითვალისწინებს ბიზნეს ანგარიშვალდებულების წახალისებას. ამ მოთხოვნის განხორციელების მიზნით რეკომენდებულია შემდეგი ქმედებების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტიმულირება ბიზნეს კომპანიებში ტრენინგებისა და სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებების და ტრენინგების ორგანიზებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიებით, ანგარიშ მგებელი კომპანიების აღიარებითა და სხვადასხვაგვარი წახალისებით - ასევე ფინანსური სტიმულებით, როგორცაა ანგარიშგების მოთხოვნის დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკასთან. <p>საკანონმდებლო რეგულირების შემოღება, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ტიპის კომპანიებისათვის, მაგალითად, სახელმწიფო კომპანიებისათვის, საზოგადოებრივი მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისათვის, ყველაზე მსხვილი გადამხდელისათვის და ა. შ. დაწესდეს საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის გახსნის მოთხოვნა (მაგალითად, გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ, სამუშაო პირობების, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, მრავალფეროვნებისა და</p> | | |
|--|--|---|--|--|

| | | | | | |
|-----|--|--|--|--|---|
| | | | არადისკრიმინაციული მოპყრობის, მომხმარებლებთან კომუნიკაციის შესახებ). | | |
| 10. | ჯუნორ ეჩივმენტი საქართველო | | <p>სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აგრეთვე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამებში სუსტადაა წარმოდგენილი ან საერთოდ არ ფიგურირებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ევროპის მოქალაქე ახალგაზრდის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამები და მათი ეფექტიანობა, არ არის გამახვილებული ყურადღება ისეთ საკვანძო მიმართულებებზე, როგორებიცაა: ფინანსური წიგნიერება; სამეწარმეო და სამოქალაქო განათლება. • ტურინის პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ითვალისწინებს უნარებზე დაფუძნებულ პროფესიულ განათლებას და სამეწარმეო უნარების განვითარებას (ETF-ის ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებას) http://www.mes.gov.ge/content.php?id=5741&lang=geo). | სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული |
| 11. | საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია | | <p>სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ისეთ სერიოზულ საკითხს, როგორც ენერგეტიკაა 168 გვერდიან მოცულობის ტექსტში მხოლოდ 3 არასრული გვერდი აქვს დათმობილი. მიუხედავად ამისა ორიოდე პოზიტივს მაინც გამოვყოფდი:</p> <ul style="list-style-type: none"> - პოზიტივია ის ფაქტი, რომ როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ასოციაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს ენერგო გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. - ელექტროენერჯისთან დაკავშირებით, საქართველოს ენერგო ინფრასტრუქტურის ქსელის რეგიონალური ურთიერთ | ენერგეტიკის სამინისტრო | სამოქმედო გეგმაში ასახულია ენერგეტიკის სფეროში 2016 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები |

| | | | | | |
|-----|---|--|---|---|---|
| | | | <p>დამაკავშირებელი სისტემების გაძლიერება და საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის გაუმჯობესება.</p> <p>ყველა სხვა მიმართულებით კვლავინდებურად ძალიან დაბალი სიჩქარით ვმომძრაობთ, რაც ნამდვილად სამწუხაროა და დამატებით ღონისძიებებს საჭიროებს.</p> | | |
| 12. | ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი | | <p>მისასალმებელია ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნულ პლატფორმას აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს და საკუთარი წინადადებები წარადგინოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. თუმცა როგორც შარშან, წელსაც დროის სიმცირის გამო, დეტალური კომენტარების მომზადება პროცედურულად რთულდება. ამდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საქართველოს ეროვნული პლატფორმის ჩართულობა სამოქმედო გეგმის უწყებრივ დონეზე მომზადებისა და პირველადი განხილვის პროცესში, რათა პლატფორმის ინიციატივები გაზიარებულ იქნას საწყის ეტაპზე.</p> <p>ამავდროულად, იმისათვის რომ სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა ეფექტიანად განახორციელოს ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, საჭიროა აქტივობები იყოს დროში გაწერილი, თვეების მიხედვით ან კვარტალურად.</p> | | ნაწილობრივ გათვალისწინებულია |
| 13. | საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება | სამოქმედო გეგმის 21.1.1 პუნქტი: „საქართველოს შრომის კოდექსის დახვეწისთვის საჭირო | <p>შრომის კოდექსში განისაზღვროს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების ქვედა ზღვარი და გამოანგარიშების წესი, დადგინდეს ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ზედა ზღვარი, დღიური სამუშაო საათების რაოდენობა; ასევე, გათვალისწინებულ იქნას იმ დედებისთვის</p> | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის | ნაწილობრივ გათვალისწინებულია პუნქტი: 179.17 |

| | | | | | |
|-----|---|--|---|---|---|
| | | ცვლილებების მომზადება და ინიცირება; | ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შვებულება, რომელთაც შვილი სუროგატის გზით ჰყავთ შეძენილი; დებულებები ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შვებულების შესახებ გახდეს უფრო მკაფიო, რათა არ იძლეოდეს ისეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომ მამებს მის მინიჭებაზე უარი უთხრან დამსაქმებლებმა. შრომის კოდექსით დარეგულირდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი, საფუძვლები და დასაქმებულების სამართლებრივი გარანტიები ნათლად და ერთმნიშვნელოვნად; შრომის კოდექსიდან ამოღებულ იქნას დებულება, რომელიც დამსაქმებელს ანიჭებს გაუმართლებლად ფართო დისკრეციას დასაქმებულის გასათავისუფლებლად; გადაისინჯოს დებულებები, რომლებიც დასაქმებულთა ძალიან ფართო სეგმენტისთვის ზღუდავს გაფიცვის უფლებას; ასევე, გაფიცვის შემთხვევაში კოდექსი არ უნდა უშვებდეს ლოკაუტის შესაძლებლობას; კოდექსით, ასევე, დარეგულირდეს წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, რათა თავიდან იქნას არიდებული დისკრიმინაციული მიდგომები, რაც სხვადასხვა ასპექტში გამოიხატება. | სამინისტრო | |
| 14. | საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება | სამოქმედო გეგმის 21.1.2. პუნქტი: შრომითი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების პროექტების | შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებობს მწვავე საჭიროება, რომ მომზადდეს და მიღებულ იქნას უსაფრთხოების შესახებ კანონი უმოკლეს ვადაში. | საქართველოს მთავრობა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. | გათვალისწინებულია N176.1; N179.16 |
| 15. | საქართველოს პროფესიული | სამოქმედო გეგმის 21.2. პუნქტი: | 1. „იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ“ კონვენციის 1930 (#29) | საქართველოს მთავრობა | არ არის გათვალისწინებული |

| | | | | | |
|-----|---|---|--|---|--|
| | კავშირების გაერთიანება | „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციების იმპლემენტაცია” | იმპლემენტაციის ფარგლებში შრომითი ექსპლუატაცია გაიმიჯნოს იძულებითი შრომისაგან და განისაზღვროს დამოუკიდებელ სამართალდარღვევად; 2. „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ” შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მე-100 კონვენციის(1951) იმპლემენტაციის ფარგლებში მიღებულ იქნას ზომები თანაბარი ანაზღაურების სტანდარტის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით; | | |
| 16. | საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება | სამოქმედო გეგმის 21.3.2 პუნქტი: „სოციალური პარტნიორობის სამხრეთი კომისიის ამოქმედება” | ანგარიშის მიხედვით, კომისიის საქმიანობის ფარგლებში ჩატარებულია მხოლოდ ერთი შეხვედრა; ამოქმედდეს კომისია და დაიწყოს რეალური ფუნქციონირება | საქართველოს მთავრობა | გათვალისწინებულია N23.1 |
| 17. | საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება | სამოქმედო გეგმის აქტივობა 22: „კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტისა და მედიაციის მექანიზმების განვითარება” | მედიაციის ინსტიტუტი განვითარების კუთხით, შესაბამისი რეგულაციით განისაზღვროს მიმართვის შემთხვევაში ამ ინსტიტუტის რეაგირების ვადა და უზრუნველყოფილ იქნას მისი დროული ჩართულობა პროცესში; იმისთვის, რომ აღნიშნული ინსტიტუტი გახდეს ხელმისაწვდომი ყველასათვის, გაიზარდოს მედიატორთა რაოდენობა; სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელთა მიხედვით მოხდება შესაბამისი მომზადების მქონე მედიატორების გამოყოფა. | შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | აღნიშნულ საკითხი ასახულია გეგმის N22 აქტივობაში |
| 18. | საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება | სამოქმედო გეგმის 21.4.4. პუნქტი: „შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესება და | საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გახდეს ფუნქციონალური და ქმედითი; განისაზღვროს ინსპექტირების | საქართველოს მთავრობა საქართველოს შრომის | აღნიშნული საკითხი ნაწილობრივ გათვალისწინებულია გეგმის 176.1 აქტივობაში |

| | | | | | |
|-----|---------------------------|---|--|--|--------------------------|
| | | სამუშაო პირობების ინსპექტირების მექანიზმის ფორმირება” | განხორციელების წესები შრომის ინსპექტირების დებულებით; მაგალითად, ინსპექტირების საგანი, დაწესებულებაში შესვლის წესი, თანამშრომლობა სხვა ინსპექტირების ორგანოებთან, თანამშრომლობა საქართველოს პროფესიულ კავშირებთან და მათ შრომის ინსპექტორებთან. დარღვევების იდენტიფიცირების შემთხვევაში მათზე რეაგირებისა და სანქციების ფორმები, შრომის ინსპექციას მნიშვნელოვანია მიენიჭოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 81-ე კონვენციითა და მისივე 81-ე რეკომენდაციით გათვალისწინებული ფუნქციები რათა რეალურად მოხდეს შრომის ინსპექციის ფუნქციონირება და ამრიგად საერთაშორისო სტანდარტების დაცვა საქართველოში. | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | |
| 19. | ადამიანის უფლებათა ცენტრი | 2.1 პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; სასტიკი მოპყრობა და წამება | აღნიშნულია რომ უწყებები დაიწყებენ დამოუკიდებელი ეფექტიანი მექანიზმის კონცეფციაზე მუშაობას რაც ჩვენი აზრით არაა საკმარისი. საჭიროა მომავალ წელს არამარტო შემუშავდეს კონცეფცია არამედ დაიწყოს დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის პროცესი. და რაც მთავარია და არაა გათვალისწინებული სამოქმედო გეგმაში, როგორც კონცეფციის შემუშავების ასევე შექმნის პროცესში აქტიურად უნდა იყონ ჩართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახალხო დამცველის ოფისი. სამოქმედო გეგმაში აქტორად მოხსენიებულია მხოლოდ უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც იუსტიციის სამინისტროშია შექმნილი რაც ნამდვილად არაა საკმარისი აღნიშნული რეფორმის ეფექტურად და გამჭვირვალედ გატარებისათვის. აქვე აღსანიშნავია ის რომ გენერალური ინსპექციები შესაძლოა დარჩეს სამინისტროებში როგორც ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის ორგანო, მაგრამ დამოუკიდებელმა საგამომიებო მექანიზმმა უნდა ჩაანაცვლოს პროკურატურა, | | არ არის გათვალისწინებული |

| | | | | | |
|-----|---|---|---|--|-------------------------------------|
| | | | რომელიც ხშირ შემთხვევაში მიკერძოებულად იძიებს სამართალდამცველთა მხრიდან გადაცდომის ფაქტებს. | | |
| 20. | ადამიანის უფლებათა ცენტრი | ასოცირების შესახებ შეთანხმება, თავი 14, მუხლი 349 | <p>1. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სპეციალური ტრენინგების ჩატარება საჯარო მოხელეებისა და სამართალდამცველებისათვის რელიგიური ნეიტრალიტეტისა და უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით. ამ პროცესში უნდა იყოს ჩართული როგორც შესაბამისი სამართალდამცველი უწყება, ასევე სამოქალაქო საზოგადოება, სახალხო დამცველის ოფისი.</p> <p>2. უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა დანიშვნისას, კადრების შერჩევა მოხდეს მათი ტოლერანტულობისა და ნეიტრალიტეტის გათვალისწინებით. ამავე დროს, იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც შემჩნეული არიან რელიგიური ან სხვა უმცირესობების შევიწროებაში ან ნეგატიურ როლს ასრულებდნენ შექმნილ კონფლიქტურ ვითარებებში, გამოძიების დასრულებამდე, შეუჩერდეთ სამსახურებრივი უფლებამოსილება. უმცირესობათა თემების წარმომადგენლები უნდა იყონ წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში რათა სათანადოდ იყოს გათვალისწინებული უმცირესობების უფლებებიც.</p> | განათლების სამინისტრო საქართველოს პროკურატურა | გათვალისწინებულია |
| 21. | Multi-ethnic resource centre on civic education development | პუნქტი 48.1 | ამ მუხლის ინდიკატორიდან არ ჩანს, თუ რა ტიპის (ბეჭდური, აუდიო-ვიდეო თუ სხვა), რა ოდენობის, რომელ ენებზე მომზადდება და რა საშუალებებით (ბეჭდური თუ სატელევიზიო მედია, ბროშურები, სხვ.) გავრცელდება აღნიშნული მასალები. რა საკვირველია, ამ კუთხით გაწეული თუ გასაწევი ძალისხმევა მისასაღმებელია, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს | ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო | ნაწილობრივ გათვალისწინებულია |

| | | | | | |
|-----|---|---------------|---|---------------------------------------|--|
| | | | მიმართულება მაქსიმალურ ყურადღებასა და გაძლიერებას საჭიროებს, ქვეყანაში და განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული გამოწვევების ფონზე. ჩემი აზრით, მეტი კონკრეტიკაა საჭირო. | მინისტრის აპარატი | |
| 22. | Multi-ethnic resource centre on civic education development | პუნქტი 187.15 | გთავაზობთ შემდეგ რედაქციას: „ეთნიკური უმცირესობებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და კომპაქტურად დასახლებული რეგიონების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული პროგრამების განხორციელება“. იგულისხმება მოთხოვნადი ხელობების კვლევა და მათზე მორგებული დარგობრივი ქართული ენის კურსების შემუშავება-ამოქმედება; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება; გამარტივებული წესით პროფესიულ კოლეჯებში ეთნიკურ უმცირესობათა მოზიდვა. | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | გათვალისწინებულია - N187.15 |
| 23. | Multi-ethnic resource centre on civic education development | პუნქტი 15.1 | იმ რეგიონებში, სადაც სახალხო დამცველს გააჩნია წარმომადგენლობა, რეგიონული ოფისების გაძლიერება უნდა მოიაზრებდეს დაუფარავი მუნიციპალიტეტების ათვისებას და არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ არსებულ წარმომადგენლობებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაზე. | სახალხო დამცველის აპარატი | ნაწილობრივ გათვალისწინებულია სახალხო დამცველის აპარატი: სულ გვაქვს რვა რეგიონალური ოფისი (ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, ახალქალაქი, გორი, მარნეული, ბათუმი და მიმდინარე წლის ნოემბერში დაემატა ოზურგეთი), სადაც თანამშრომლების რაოდენობაა - 18 და მათი რაოდენობა მზარდია, რაც ნიშნავს, რომ იქმნება მეტი შესაძლებლობები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირებისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტების |

| | | | | | |
|-----|---|---------------|--|---------------------------------------|---|
| | | | | | <p>მაქსიმალური დაფარვისთვის.</p> <p>მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არის რეგიონალური ოფისები, გვყავს ე.წ. საკონტაქტო პირები, რომლებიც ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირებას ახდენენ სხვადასხვა რაიონში, ასეთი საკონტაქტო პირი გვყავს 4, რეგიონების მიხედვით (სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში).</p> |
| 24. | Multi-ethnic resource centre on civic education development | პუნქტი 162.10 | დაგეგმილ აქტივობებს დაემატოს საინფორმაციო კამპანიის წარმოება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანების მნიშვნელობაზე, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის მნიშვნელობაზე, უპირატესობებსა და მათგან მომდინარე სარგებელზე. უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე“ | სოფლის მეურნეობის სამინისტრო | <p>გათვალისწინებულია</p> <p>162.10</p> |
| 25. | Multi-ethnic resource centre on civic education development | | დაემატოს „ზრდასრულთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების პროგრამებში უზრუნველყოფილია ეთნიკური უმცირესობები ს მაქსიმალური ჩართვა, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე“. | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | <p>გათვალისწინებულია</p> <p>N187.15</p> |
| 26. | Multi-ethnic resource centre on civic education development | | განათლება, კულტურა და რეგიონული განვითარება, რასთან დაკავშირებითაც შეგახსენებთ, რომ 2014 წლის აგვისტოში მთავრობის მიერ დამტკიცებულია 2015-2020 წწ. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა სფეროში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციასთან დაკავშირებული კონკრეტული ქმედებები და ამ | | <p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p> <p>შემდეგ აქტივობებში: N11.1; 187.1; 187.15</p> |

| | | | | | |
|-----|----------------------------|--------------|--|--|---|
| | | | <p>აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები. ეს სფეროები ეხმიანება ასოციერების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს მიმართულებები არ (ან არასაკმარისად) ასახავენ ეთნიკურ უმცირესობათა კომპონენტს ისევე, როგორც ეს იყო 2015 წლის სამოქმედო გეგმაში. ჩემი აზრით, მომავალ წელს გაცილებით მეტი აქტივობის გატარებაა შესაძლებელი და აუცილებელი ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმართულებებით, როგორცაა: მოქალაქეების სრულყოფილი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში (საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისათვის, საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ე/უ ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება და ა.შ.), განათლების ხარისხის გაუმჯობესება ყველა დონეზე და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა, კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა და ა.შ.</p> | | |
| 27. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 141.4 | <p>რომელ კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილება, ევროკავშირში ითხოვს რომ ეს საქმიანობა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეასებას , არ არის ინდიკატორი</p> | <p>ენერგეტიკის სამინისტრო</p> <p>სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო</p> | <p>არ არის გათვალისწინებული</p> <p>ამჟამად შეუძლებელია ყველა თანმდევი საკანონმდებლო აქტების ჩამოთვლა, ვინაიდან მიმდინარეობს ამ ცვლილებების პროექტზე მუშაობა. ძირითადი ცვლილებები შევა „ნავთობისა და გაზის შესახებ კანონში“ და „ნავთობისა და გაზის ოპერაციები მარეგულირებელი წესებში“. რაც შეეხება კომენტარს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ბის თაობაზე ეს არა რელევანტურია, ვინაიდან ცვლილება</p> |

| | | | | | |
|-----|----------------------------|--------------|---|--|--|
| | | | | | შედის გარემოსდაცვითი კანონმდებლობაში და ინიციატორია გარემოს დაცვის სამინისტრო. |
| 28. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 145.1 | აუცილებელია ამ საკითხზე საჯარო განხილვის მექანიზმის მომზადება როგორც ამას ითხოვს ევროკავშირი, უნდა მომზადდეს კრიტერიუმები (ინდიკატორები) რა შედეგის მომტანი იქნება ეს გეგმა და გეგმა უნდა იყოს ინტერსექტორალური | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული NEAP-3-ის შემუშავების პროცესი შენიშვნაში მოყვანილ საკითხებს მოიცავს. საჯარო განხილვების მოწყობა დაგეგმილია შესაბამის დროს. გეგმა, ბუნებრივია, იქნება ინტერსექტორალური, ეს დასახელებაშივე ჩანს „ეროვნული გეგმა“. |
| 29. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 146.1 | ინდიკატორებში არ არის მითითებული რამდენი ტრენინგი უნდა ჩატარდეს და რამდენი სახელმწიფო მოხელე უნდა გადამზადდეს ამ საკითხების იმპლიმენტირებისთვის არის საჭირო საკანონმდებლო აქტების მომზადება | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციის ა და განათლების ცენტრი | არ არის გათვალისწინებული გამომდინარე იქიდან, რომ ტრენინგების განხორციელება და სახელმწიფო მოხელეების გადამზადება ხორციელდება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, შესაბამისად ტრენინგების დაზუსტებული რაოდენობა ცნობილი გახდება მოგვიანებით. |
| 30. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 147.1 | ზუსტი ინდიკატორები არ ჩანს კოდექსი რომ მზადდება ვიცით მაგრამ პირველი ვარიანტი არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის დირექტივებიდან დაკავშირებით | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული ჩვენი აზრით, ინდიკატორი ზუსტი და კონკრეტულია. |
| 31. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 149.3 | ინდიკატორი გაუგებარია რას ნიშნავს ევროკავშირის დადებითი შეფასება | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული ინდიკატორი ზუსტია, თუ ევროკავშირი დადებით დასკვნას დადებს და იტყვის, რომ კოდექსი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან, ნიშნავს, რომ შესაბამის პრობლემა მოხსნილია და კოდექსის შემუშავება წარმატებით |

| | | | | | |
|-----|----------------------------|---------------------|--|--|---|
| | | | | | დასრულდა. ამდენად, შესაბამისობის დამდგენი მთავარი ორგანოს - ევროკავშირის - დადებითი დასკვნა მიღწეული შედეგის ერთ-ერთ ზუსტ საზომად მიგვაჩნია. ხოლო, კოდექსის პროექტის არსებული რედაქცია სრულად შეესაბამება როგორც ევრო დირექტივების, ისე ესპოს კონვენციისა და მისის ოქმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| 32. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 150.2 | ინდიკატორი გაუგებარია რას ნიშნავს ევროკავშირის დადებითი შეფასება | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული ინდიკატორი ზუსტია, თუ ევროკავშირი დადებით დასკვნას დადებს და იტყვის, რომ კოდექსი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან, ნიშნავს, რომ შესაბამის პრობლემა მოხსნილია და კოდექსის შემუშავება წარმატებით დასრულდა. ამდენად, შესაბამისობის დამდგენი მთავარი ორგანოს - ევროკავშირის - დადებითი დასკვნა მიღწეული შედეგის ერთ-ერთ ზუსტ საზომად მიგვაჩნია. ხოლო, კოდექსის პროექტის არსებული რედაქცია სრულად შეესაბამება როგორც ევრო დირექტივების, ისე ესპოს კონვენციისა და მისის ოქმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს |
| 33. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 150.4, 150.5 | რამდენ ნაგავსაყრელ მოამზადებენ ? სად არის ციფრები ? | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების | გათვალისწინებულია |

| | | | | | |
|-----|----------------------------|--------------|--|--|--|
| | | | | დაცვის სამინისტრო | |
| 34. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 151.2 | კარგი იქნებოდა რომ გაწერილი ყოფილიყო რა საკანონმდებლო აქტები მომზადდებოდა კონკრეტულად საერთოდ დეტალიზაცია გეგმას აკლია | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული კანონპროექტის პირველადი ვერსიის სახელწოდებაა „მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ“ თუმცა შესაძლებელია სახელწოდება შეიცვალოს, სწორედ ამიტომ არ არის მითითებული საკანონმდებლო აქტის ზუსტი სახელწოდება. |
| 35. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 152.1 | ეს დირექტივები აგრეთვე მოითხოვენ ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებს ვგულისხმობ სხვა სფეროებშიც სოფლის მეურნეობაში და სატყეო სფეროში ერთი კანონით ეს დირექტივები ვერ შესრულდება. გაუგებარია ინდიკატორიც | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული ამ ქმედებით სამინისტრო არ ამბობს, რომ დირექტივას სრულად შეასრულებს. აქ ასახულია ქმედება, რომელსაც სამინისტრო განახორციელებს 2016 წელს დირექტივის შესასრულებლად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მივიღებთ კანონს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ. აქ მოყვანილი დირექტივების შესასრულებლად ქვეყანას აქვს 5-დან 8 წლამდე და, ბუნებრივია, მთელი დირექტივის შესრულებას 2016 წელს არ ვგეგმავთ. |
| 36. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 153.2 | ინდიკატორი გაუგებარია კარგი იქნებოდა ჩაწერილი ყოფილიყო ან მთავრობის მიერ კანონებში ან აქტებში ასახული ძირითადი პრინციპების დამტკიცება (კონცეპციის დამტკიცება) არა თვითონ აქტების | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | გარემოს დაცვის სამინისტრო: ინდიკატორი ზუსტია. |
| 37. | Greens Movement of Georgia | პუნქტი 154.2 | ინდიკატორის შესახებ: აგრეთვე მიზანშეწონილია ან მთავრობის მიერ ან სამინისტროს მიერ კონცეპციის ან განცხადებების მომზადება და დამტკიცება ძირითადი პრინციპების | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | გათვალისწინებულია ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებული იქნება |

| | | | | | |
|-----|----------------------------|---|--|---|---------------------------------|
| 38. | ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ | ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 306; დანართი XXVI, გარემოს დაცვა; გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების სხვა სფეროებში ინტეგრირება. | ეს პუნქტები შესაძლებელია დამატებულ იქნას შემდეგ მუხლში: 1. გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემისა და ხარისხის გაუმჯობესება, დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან, მონაცემთა ბაზების შემუშავება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ელექტრონული ვერსიების შექმნის გზით. 2. გარემოსდაცვითს ეკონომიკური მექანიზმების განვითარება. 3. შავი ზღვის სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მექანიზმების ჰარმონიზაცია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მართვის მექანიზმებთან. 4. მწვანე ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება. | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი | არ არის გათვალისწინებული |
| 39. | ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ | ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 306; დანართი XXVI; გარემოს დაცვა, ბუნების დაცვა | ეს პუნქტი შესაძლებელია დაემატოს მუხლს: 1. დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | არ არის გათვალისწინებული |